



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

საქმიანობის მიმოხილვა 2021



სარჩევი

03	შესავალი
06	2021 წელი ციფრებში
07	სოციალური პოლიტიკის პროგრამა
08	მწვანე პოლიტიკა
10	შრომის პოლიტიკა
13	სათანადო საცხოვრებლის უფლება
15	შშმ პირთა უფლებები
17	მართლმსაჯულების პოლიტიკის პროგრამა
18	სასამართლო სისტემა
20	სამართალდამცავი სისტემა
22	ნარკოპოლიტიკა
23	პოლიცია და ძალის გადამეტება
24	თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა
25	არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობა
28	რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა
30	ადამიანის უფლებები კონფლიქტის რეგიონებში
32	ქალთა უფლებრივი მდგომარეობა
33	ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა
35	„სხვა კუთხე“ – ინტერვიუების ციკლი
37	სოციალური სამართლიანობის ცენტრის გამოცემები 2021
40	დონორი ორგანიზაციები და პროექტები

შესავალი

2021 წელს ქვეყანა განგრძობადი პოლიტიკური კრიზისით შეხვდა, რომელიც ვერც საერთაშორისო პარტნიორების მედიატორობით გაფორმებულმა 19 აპრილის პოლიტიკურმა შეთანხმებამ განმუხტა და ვერც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. პოლიტიკური კრიზისზე დაფუძნებული დღის წესრიგიდან სრულად აღმოჩნდა გამოტოვებული:

- პანდემიის შემაშფოთებელი ადამიანური და სოციალური შედეგები;
- ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ინფლაციის უპრეცედენტო მასშტაბების ფონზე კიდევ უფრო დამძიმდა;
- ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვაზე მიმართული რეფორმების საკითხები.

პოლიტიკური პოლარიზაცია და რადიკალიზაცია განსაკუთრებით საგრძნობი იყო თვითმმართველობის არჩევნების კონტექსტში. წინასაარჩევნო პერიოდში პარტიების სამუშაო სტრატეგიები საგანგებო მდგომარეობის პერსპექტივას უფრო დაეფუძნა, რომელშიც სრულად იყო იგნორირებული რეგიონებისა და ქალაქების რეალური გამოწვევები და საჭიროებები. ანტაგონიზმმა და მტრულმა რიტორიკამ დაიკავა პოლიტიკური თუ მედია-სივრცე და ვერ მოიძებნა ვერც პოლიტიკური და ვერც საზოგადოებრივი რესურსი ამ სიტუაციის განსამუხტად. პირიქით, არჩევნებზე დაფიქსირებულმა ხარვეზებმა და პარალელურ რეჟიმში ქვეყნის მესამე პრეზიდენტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ვითარების რადიკალიზებას. სააკაშვილის ფაქტორმა პოლარიზების სიტუაცია გააღრმავა და ამ ფონზე მცირე პოლიტიკური პარტიების გავლენები და საარჩევნო მაჩვენებლები კიდევ უფრო შესუსტდა.

პოლიტიკური პოლარიზების გარემომ და მმართველ პოლიტიკურ გუნდში მიმდინარე რთულმა და არადემოკრატიულმა შიდა პროცესებმა არსებითად დააზიანა ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი. პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნის შემდეგ მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერების მხრიდან ისმოდა შემაშფოთებელი განცხადებები ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების მიმართ. ევროკავშირთან ურთიერთობის პროცესები კი აშკარად კრიზისშია შესული, რასაც არა ერთი ევროპარლამენტარის მიერ გაკეთებული მძიმე და საგანგაშო განცხადებაც ადასტურებს.

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მკვეთრად პრობლემური იყო, რაც მისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვასა და გამოცხადებული შიმშილობისას ადეკვატურ სამედიცინო მოპყრობაზე უარს უკავშირდებოდა. არსებული მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიზებისა და კლანური სტრუქტურის გათვალისწინებით, ცხადია, ჩნდება ეჭვები, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ მართლმსაჯულება დამოუკიდებელი და სამართლიანი ვერ იქნება. ეს მოცემულობა არღვევს არა მხოლოდ ინდივიდუალური პირის უფლებებს, არამედ შეუძლებელს ხდის წარსულის სამართლიან შეფასებას და მასზე საზოგადოებრივ შეთანხმებას, რაც პოლიტიკური პოლარიზებისა და კონფლიქტების კიდევ ერთი მიზეზია.

შემაშფოთებელია არჩევნების შემდგომ ცალკეულ თვითმმართველ ერთეულებში განვითარებული ტენდენციები, როდესაც მმართველი პოლიტიკური ძალა ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით ცდილობს საკრებულოებში ახალარჩეულ ოპოზიციონერ დეპუტატებზე ზეწოლასა და მათ გადმოხრებას. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბათუმის საკრებულოს ახალარჩეული წევრის, ნუგზარ ფუტყარაძის გარდაცვალების საქმე, სადაც იკვეთება საკრებულოს ოპოზიციონერ წევრზე იძულების ნიშნები, ემოქმედა მმართველი პოლიტიკური გუნდის ინტერესების სასარგებლოდ. მსგავსი ტენდენცია იკვეთება დმანისშიც, სადაც ასევე საკრებულოს ოპოზიციონერი წევრის, რამიზ რამაზანოვის მიმართ ჩანს ზეწოლის ნიშნები.

2021 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულმა კრებებმა, რომელიც სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასობრივ უკანონო მოსმენებს აჩვენებს, კიდევ ერთხელ გამოავლინა პოლიტიკურ სისტემაში უსაფრთხოების სამსახურების ქარბი გავლენები და მათი შეღწევა მიკროსოციალური ურთიერთობებშიც, რაც სოციალური კონტროლის და უნდობლობის უმძიმეს გამოცდილებას ქმნის.

სახელმწიფო ვალის გაზრდის ხარჯზე გაჩენილი ანტიკრიზისული დახმარებები და პირდაპირი ფულადი კომპენსაციები მათთვის, ვინც პანდემიური შეზღუდვების დროს სამსახური დაკარგა, გარკვეულწილად პასუხობდა მწვავე სოციალურ და ეკონომიკური კრიზისს ქვეყანაში. თუმცა სახელმწიფოსთვის ისევ სირთულეს წარმოადგენს როგორც არაფორმალურად დასაქმებულთა სოციალური დაცვა, ისე სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მასშტაბურ გაფიცვებსა და მშრომელთა სხვადასხვა სახის პროტესტზე. მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში მასშტაბურ გარემოსდაცვით აქციებს ვხედავდით. ლოკალურად მოსახლეობა პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილს და მრავალდღიან პიკეტირებასაც კი მიმართავდა, რასაც სახელმწიფო იგნორირებით ან რეპრესიით პასუხობდა, ზღუდავდა პროტესტის უფლებას და გადაადგილების თავისუფლებას დაპირისპირების მთავარ კერებში.

2021 წელს კვლავ მწვავედ წამოიჭრა ულტრამემარჯვენე ჯგუფების რადიკალიზებისა და ძალადობის პრობლემა. წლების განმავლობაში ამ ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობის მიმართ სახელმწიფოს შემწყნარებლურმა პოლიტიკამ და დაუსჯელობამ კიდევ უფრო გაზარდა ამ ჯგუფებისგან მომავალი საფრთხეები. ამ კუთხით განსაკუთრებით შემაშფოთებელი 2021 წლის 5-6 ივლისს, „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოვლენილი მასობრივი, წინასწარ ორგანიზებული ძალადობა ალტ-ინფოს ჯგუფის ლიდერების მხრიდან, რასაც 52 შურნალისტის უფლების და პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, მათ შორის, რამდენიმე მათგანის მიმართ ძალადობაც მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენების გამოძიება ამ დრომდე ფრაგმენტულად მიმდინარეობს და აშკარად არ იკვეთება ხელისუფლების პოლიტიკური ნება სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს ძალადობრივი შეკრების ორგანიზატორებს. ამ ფონზე სწორედ ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა ამ ჯგუფების მიერ პარტიებისა და ტელევიზიების დაფუძნება და ინსტიტუციური პოლიტიკის ველში მკვეთრად ანტიდემოკრატიული, ანტიკონსტიტუციური ძალების შემოსვლა.

მიმდინარე წელს ისევ ვიხილეთ რელიგიური და ეთნიკური კონტაქტის მეტონე სოციალური კონფლიქტები ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ხელისუფლებისთვის თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკაში პოზიტიური გარდაქმნებისა და არსებითი რეფორმების მანიშნებელი ისევ არ გახდა. მეტიც, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინასაარჩევნო პროცესებმა და ხელისუფლების მხრიდან მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების გამოცდილებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, ამ რეგიონების სუსტი ინტეგრაციის პოლიტიკის, დემოკრატიიდან გამორიცხვისა და პერიფერიალიზაციის პოლიტიკური განზრახვები.

ცხადია, რომ პოლიტიკური პოლარიზების, სუსტი დემოკრატიზაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის პირობებში არსებითად შეუძლებელი ხდება ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკური საკითხებზე მუშაობა, რომელიც კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას და შერიგების პოლიტიკის ახალ საფეხურზე აყვანას დაუკავშირდება.

ამდენად, ღრმა და გადაუჭრელმა პოლიტიკურმა კრიზისმა და პოლარიზებამ, მმართველი პოლიტიკური გუნდის მხრიდან ძალაუფლების შენარჩუნების არადემოკრატიულმა მცდელობებმა, პანდემიამ, ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ინფლაციამ არსებითად გააუარესა ჩვენი მოქალაქეების ყოფა და უფლებრივი მდგომარეობა. აშკარაა, რომ სხვადასხვა ტიპის სოციალურ კონფლიქტსა და უკმაყოფილებას სახელმწიფო ვერ პასუხობს გრძელვადიანი სოციალური და სამართლებრივი რეფორმებით, რაც საბოლოოდ არასტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს ქმნის და სოციალურ უიმედობას იწვევს.

2021 წელი ციფრებში

2021 წლის ახალი საქმეები:

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოებული

4 საქმე

სისხლის სამართლის

24 საქმე

საგამოძიებო ორგანოების წინაშე

სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი -

1 საქმე

საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული

1 საქმე

ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმოებული

9 საქმე

საერთო სასამართლოებში მიმდინარე

36 საქმე

2021 წლის წარმატებული საქმეების რაოდენობა

12

კუბლიკაციები



12

კვლევა



1

პრაქტიკული სახელმძღვანელო



36

ანალიტიკური დოკუმენტი



2

თარგმანების კრებული



2

ანგარიში

საჯარო ღონისძიებები

48

მულტიმედია



17

ბლოგი



7

ფოტორეპორტაჟი



11

თარგმანი



47

სტატია



93

ვიდეო



6

ინფოგრაფიკა

სოციალური პოლიტიკის პროგრამა

მიმდინარე წლის განმავლობაში, პროგრამამ ყველაზე დიდი რესურსი გარემოსდაცვით საკითხს, კერძოდ კი, ნამახვანი ჰესის პროექტის გარშემო არსებულ წინააღმდეგობასა და კანონდარღვევებზე მუშაობას დაუთმო. დიდი ორგანიზაციული რესურსი დაეთმო საჯარო აზრის ფორმირებას, რომ ბუნებრივი რესურსების ათვისებით განხორციელებული განვითარების პროექტების შემთხვევებში, როგორც საინვესტიციო კომპანიებისგან, ისე სახელმწიფოსგან საჭიროა მეტი ინფორმაციის მიღება და მსჯელობები ამ პროექტების დასაბუთებულობის, გამჭვირვალობისა და სარგებლიანობის შესახებ.

წელს პროგრამამ ასევე დიდი შრომა გასწია შრომის ინსპექციის განახლებულ მანდატზე დაკვირვების კუთხით. შრომის ინსპექციის მექანიზმის ამუშავების შემდეგ პირველად გაკეთდა შეფასებები მისი ინსტიტუციური სისუსტეების და ფუნქციების აღსრულებაში არსებული გამოწვევების შესახებ. დამატებით, წლეგანდელი წელი 2020 წლის შრომის რეფორმის შემდგომი პერიოდი იყო, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა, ფორმალური შრომის შემთხვევებში არსებული დაცვის გარანტიების მიღმა, ახლა უკვე არაფორმალური და არასტანდარტული შრომის პრობლემური ასპექტები გამოგვეკვთა. ორგანიზაციამ დიდი დრო დაუთმო საქართველოში ფორმალისების შესაძლებლობებზე მსჯელობასაც და გამოჰყო შესაბამისი ინიციატივები, რაც სახელმწიფოს მხრიდან ფორმალისების წახალისების თუ ფორმალისების პოლიტიკის გატარებას შეუწყობდა ხელს.

სათანადო საცხოვრისის უფლების მიმართულებით მიმდინარე წელს ორგანიზაციამ გააანალიზა გამოსახლების რეგულირების თავისებურებები COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში და არაერთი რეკომენდაციით მიმართა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრის შესახებ. ორგანიზაციის შეფასებით, 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო უფრო რეპრესიული გახდება უსახლკარო პირების მიმართ.

2021 წლის განმავლობაში სოციალური სამართლიანობის ცენტრი აქტიურად ცდილობდა შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული სისტემური გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას როგორც ინდივიდუალურად, ასევე შშმ თემთან და ორგანიზაციებთან ერთად. მიმდინარე წელს ორგანიზაცია მუშაობდა, ერთი მხრივ, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ პრობლემებზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ სისტემურ ხარვეზებზე, რაც შშმ პირთა მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებლობის გამო არსებობს და ბარიერს ქმნის ზრუნვის პოლიტიკის აღსრულებისთვის.

მწვანე პოლიტიკა

ბუნებრივი რესურსების სამართლიანი, სოციალურად და ეკოლოგიურად მდგრადი მართვის მხარდაჭერისთვის სოციალური პოლიტიკის პროგრამამ 2021 წელი ჰიდროენერგეტიკული და სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიების შესწავლასა და მათი რეგულირების ანალიზს დაუთმო.


განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნამახვანი ჰესების კასკადის პროექტის შესწავლა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მთელი წლის განმავლობაში ადევნებდა თვალს და ეხმარებოდა რიონის ხეობაში მიმდინარე პროცესებს და აფასებდა მათ როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად. გამოვლენილი დარღვევებისა და გადაწყვეტილების მიღების არადემოკრატიული, გაუმჭვირვალე და დაუსაბუთებელი პროცესი შეჭამებულია სიღრმისეულ კვლევაში ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შეღავათები – ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია. შეფასებებსა და მიგნებებს სოციალური პოლიტიკის პროგრამის გუნდი განცხადებების, სტატიებისა და ვიდეო-მასალის სახით ასატარებდა. პროექტის სხვადასხვა ეტაპთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, როგორცაა გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სამშენებლო ნებართვის გაცემა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი სასამართლოში ასაჩივრებს როგორც დამოუკიდებლად, ისე პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

ამასთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მონაწილეობდა უპრეცედენტო მედიაციის პროცესში ნამახვანი ჰესის პროექტის შესახებ, რომელიც, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ჩართულობით, ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი აღწერდა და აფასებდა მედიაციის მიმდინარეობას და ფართო საზოგადოებასა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს აცნობდა როგორც პროცესთან დაკავშირებულ ხარვეზებსა და პრობლემებს, ისე მის მიღწევებს. სამწუხაროდ, მედიაციის პროცესში საკმარისი ყურადღება არ დაეთმო მთელ რიგ შინაარსობრივ საკითხებს, როგორცაა პროექტის დოკუმენტაციის გამართულობა, მისი მშენებლობის დროებით შეჩერების მოთხოვნა და ა.შ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ

დეზღად, ისე პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.




ვიდეო



ვიდეო

მოხერხდა შეთანხმების მიღწევა პროექტის განახლების შემთხვევაში პროექტის გარემოსდაცვითი ნაწილის ხელახალი შეფასების შესახებ. მედიაციის დასრულების შემდეგ, მის შესატყაშებლად ჩატარდა საჯარო დისკუსია, რომელსაც ესწრებოდა როგორც მედიატორი, ისე ფორმატის მონაწილე სხვა არაერთი ორგანიზაცია. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მოამზადა მედიაციის ალტერნატიული ანგარიშიც.











ვიდეო

რაც შეეხება სამთო-მოპოვებით ინდუსტრიას, ამ მხრივ მწვავე კერად რჩება ქიათურა. 2021 წელს ქიათურის სოფელ შუქრუთის მოსახლეობამ, რომელიც ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართა. სოციალური პოლიტიკის პროგრამამ შეისწავლა სოფელ შუქრუთში არსებული მდგომარეობა და მიგნებებს თავი მოუყარა ანალიტიკურ დოკუმენტში ქიათურის კრიზისი. ეს დოკუმენტი აგრძელებს სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიის შესწავლის რამდენიმეწლიან კვლევით ძალისხმევას. წიაღისეულის მოპოვების ტრადიციული კერებზე (როგორცაა ქიათურა, ტყიბული და ბოლნისი) დაკვირვების გარდა, 2021 წელს სოციალური პოლიტიკის პროგრამამ დაიწყო წიაღისეულის მოპოვების მნიშვნელოვანი ახალი შემთხვევის შესწავლა რაჭის სოფელ შქმერშიც, სადაც მოპოვების ახალი ლიცენზიები ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ წამოწყებული სისხლის სამართლებრივი დავის პარალელურად გაიცა.

თბილისში ქაოტური განაშენიანებით დაზარალებულ მოსახლეობასთან ერთად სოციალური სამართლიანობის ცენტრი აწარმოებს სამართლებრივ დავას ყიფშიძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით. ამასთან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი სტრატეგიული სამართალწარმოების გზით მხარს უჭერს ქალაქის კულტურული მემკვიდრეობისა და მწვანე სივრცეების შენარჩუნებასა და მათ საჯარო ინტერესის მიხედვით მართვას. სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021 წლის მანძილზე მუშაობდა ბათუმის ბულვარში მიმდინარე მშენებლობის საკითხზეც. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობა მას შეუქცევადად აზიანებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ სოციალური სამართლიანობის ცენტრის მოთხოვნა მშენებლობის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ არ დააკმაყოფილა, ხოლო მშენებლობის პროცესში დეველოპერმა კომპანიამ პროექტით გათვალისწინებულ სიმაღლესაც გადააჭარბა.

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 42 ბანცხადება	 18 ვიდეო
 1 კვლევა	 5 ფოტორეპორტაჟი
 1 ანგარიში	 1 ბლოგი
 7 ანალიტიკური დოკუმენტი	 1 ინფორმაციკა

შრომის პოლიტიკა

დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის სტანდარტის გაუმჯობესებისა და ღირსეული შრომის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სოციალური პოლიტიკის პროგრამამ 2021 – შრომის რეფორმის განხორციელების მომდევნო წელი დაუთმო იმის შესწავლასა და ანალიზს, თუ რა საკითხები მოიცვა რეფორმამ და როგორ ხორციელდება პრაქტიკაში შრომის რეფორმის მიღწევები.

ამასთანავე, სოციალური პოლიტიკის პროგრამის ფოკუსს წარმოადგენდა შრომისა და სოციალური დაცვის საკითხების გადაკვეთის შესწავლა. შესაბამისად, პროგრამის საქმიანობის ფარგლებში გაანალიზდა სახელმწიფოს მიერ პანდემიის დროს გაცემული ანტიკრიზისული დახმარებები და ყურადღება დაეთმო არაფორმალური დასაქმების პრობლემატიკის კვლევას, რაც ასევე მოიცავდა არაფორმალურების სოციალური დაცვის სპეციფიკასაც.

როგორც აღინიშნა, *სოციალური სამართლიანობის ცენტრმა* შეისწავლა 2020 წლის შრომის რეფორმის გამოწვევები და მიღწევები. რეფორმის მთავარ მიღწევად შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის გაფართოება და მისთვის შრომის უფლებების ზედამხედ-

ველობის უფლებამოსილების მინიჭება მიიჩნევა. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დაკისრებული უფლებამოსილების ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით, სოციალური პოლიტიკის პროგრამის გუნდმა მოამზადა კვლევა *შრომის ინსპექციის საქმიანობის შეფასება 2021*. კვლევაში პირველად იქნა შეფასებული შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა, არსებული გამოწვევებისა და სისტემის გაუმჯობესებისათვის საჭირო ნაბიჯების იდენტიფიცირების მიზნით. დამატებით, გაანალიზდა *დეკრეტული შვებულების* საკანონმდებლო მოწესრიგება რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. ის გამოწვევები, რაც რეფორმის მიუხედავად კვლავ მწვავედ დგას, მათ შორისაა მშობლების მიზერული ანაზღაურება და მამობის შვებულების არარსებობა, ვიდრე პროდუქტში აისახა.



ვიდეო: შრომის რეფორმა - ინტერვიუ კოტე ერისთავთან

ვიდეო: დეკრეტული შვებულება და მიზერული ანაზღაურება მშობლებს

ამასთანავე, 2021 წელს სოციალური პოლიტიკის პროგრამამ დიდი ყურადღება დაუთმო არაფორმალური დასაქმების საკითხს. ორგანიზაციის მიერ მომზადებული კვლევა შეისწავლის საქართველოში არასტანდარტული და არაფორმალური შრომის სახეებს. კვლევაში თავმოყრილია ადგილობრივი ცოდნა არაფორმალურად და არასტანდარტულად დასაქმებულთა შრომითი, სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და გამოვლენილი გამოწვევების სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით, წარმოდგენილია პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები და სარეფორმო ხედვები. არასტანდარტული შრომის განმარტებას მიეძღვნა ვიდეო პროდუქტი **არასტანდარტული დასაქმება**, რომელიც აღწერს თუ რა შრომითი გარანტიების გარეშე რჩება დასაქმებული, როცა სამსახურს აპლიკაციის მეშვეობით პოულობს. არაფორმალურად დასაქმებულთა შრომითი მდგომარეობის აღწერისთვის კი გამოქვეყნდა ბლოგი და 2 საკონკურსო ვიდეოც: პროფესია-დამლაგებლის და რისი თქმა სურთ გარემოვაჭრე ქალებს? არაფორმალური შრომის საკითხს მიეძღვნა აგრეთვე სტატია ჩრდილოვანი ეკონომიკის ფორმალიზებასთან დაკავშირებული გამოწვევები, სადაც საკითხი გაანალიზებულია საერთაშორისო გამოცდილებებზე დაყრდნობით.



ვიდეო

სოციალური პოლიტიკის პროგრამა ინარჩუნებდა ინდუსტრიული ქალაქებისადმი კვლევით ინტერესს, ექსტრაქტივისტული ეკონომიკების შესახებ თეორიული ცოდნისა და ახალი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით და 2021 წელი აღნიშნულ კვლევებს დაეთმო. კერძოდ, ტყიბულელ ქალთა შრომისა და მიგრაციის თავისებურებებს ანალიზებს **კვლევა**, რომელშიც შესწავლილია ტყიბულში არსებული ქალთა შრომითი ბაზარი, მისი დემოგრაფიული, სექტორული განაწილება და განვითარების პერსპექტივები, ხოლო კიდევ ერთი კვლევა ეხებოდა **ექსტრაქტივიზმსა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ტყიბულში**. პროგრამის საქმიანობის ფარგლებში მომზადებული ვიდეო სამი ამბის კვალდაკვალ, რომელიც აღწერს, თუ როგორ იცვლებოდა ტყიბულში ქალების ყოველდღიურობა, შრომითი პირობები და საცხოვრებელი გარემო ქალაქის სამი ისტორიული ამბის – შახტის მუშაობის, მისი გაჩერებისა და შემდეგ უკვე, შახტების პრივატიზების კვალდაკვალ.



პოდკასტი: რისი თქმა სურთ გარემოვაჭრე ქალებს?

სოციალური პროგრამა აგრეთვე მხარს უჭერდა ღირსეული შრომის პირობების მოთხოვნით 2021 წელს გაფიცულ მშრომელებს. სოციალური პოლიტიკის პროგრამის გუნდი შრომითი კანონმდებლობის მინიმალური სტანდარტების დაცვის თაობაზე მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს განცხადებებისა და ვიდეო-მასალის სახით ეხმებოდა. პროგრამამ **განცხადების** მეშვეობით სოლიდარობა გამოუცხადა თბილსერვისში დასაქმებულთა პროტესტს, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების მძიმე სამუშაო პირობები და ლეგიტიმური მოთხოვნები ვიდეოშია აღწერილი.

ინტერესი, პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად წინა ხაზის მშრომელების მიმართ ორგანიზაციაში 2020 წლიდან გაჩნდა. 2021 წელს წინა ხაზის მშრომელების, კერძოდ, ტყიბულელი მეშახტეების, გარემოვაჭრე ქალებისა და ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების მძიმე შრომით პირობებსა და საფრთხის შემცველ სამუშაო გარემოს სამი სტატია მიეძღვნა.






სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021 წელს კვლავ აქტიურად განაგრძობდა სასამართლოებში სტრატეგიულ სამართალწარმოებას უფლებადარღვეული დასაქმებულების დაცვის მიზნით. ორგანიზაციის გამარჯვებით დასრულდა შემდეგი დავები: ჰესების მშენებლობის პროტესტის მონაწილეთა სამსახურიდან დისკრიმინაციული გათავისუფლება მესტიის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ; სამივე ინსტანციაში დავა ბიბლუსის წინააღმდეგ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი 8 სოციალურ მუშაკის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების თაობაზე სასამართლო დავას აწარმოებს. რაიონული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით 7 სოციალური მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ იქნა ცნობილი. ამასთან, 4 მუშაკი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ იქნა

აღდგენილი სამუშაო ადგილზე, ხოლო დანარჩენის მიმართ სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2 სოციალური მუშაკის უკანონო განთავისუფლების თაობაზე სამართლებრივ დავას უზენაეს სასამართლოში აგრძელებს. ამასთანავე, მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა და საიამ სასამართლოს მიმართეს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ ეროვნულ მუზეუმში მასშტაბური საშტატო ცვლილებების შედეგად თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირების შრომითი უფლებების დაცვის მიზნით.



ვიდეო : მუზეუმის გადასარჩენად - ინტერვიუ ცირა ელისაშვილთან

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზაურობდა:

 14 ბანცხადება	 12 ვიდეო
 4 კვლევა	 9 სტატია
 3 ანალიტიკური დოკუმენტი	 1 ბლოგი

სათანადო საცხოვრებლის უფლება

2021 წლის განმავლობაში მთავრობა არათუ არ იაზრებდა უსახლკარო ჯგუფების საჭიროებებს, არამედ მათ მიმართ რეპრესიულ და სადამსჯელო ღონისძიებებს ატარებდა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი სხვადასხვა მეთოდის მეშვეობით ცდილობდა ამ სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის გზების ძიებასა და საზოგადოების ინფორმირებას, მათ შორის, წინასაარჩევნო პროცესის დროსაც.

ორგანიზაცია ორიენტირებული იყო როგორც ზოგადად საცხოვრისით უზრუნველყოფის, ასევე გამოსახლების საკითხებზე. საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის რეკომენდაციით ორგანიზაციამ მთავრობას ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მიმართა, რომელიც სახელმწიფო უწყებებმა გაიზიარეს, თუმცა აღნიშნული გეგმა ამ დრომდე არ დამტკიცებულა და მისი საბოლოო შინაარსი უცნობია.

ორგანიზაცია ასევე მუშაობდა სხვადასხვა უსახლკარო ჯგუფებთან და აღწერდა მათ საჭიროებებს. სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენლებმა არაერთი ვიზიტი განახორციელეს ორხევის სოციალური საცხოვრისის მაცხოვრებლებთან, ასევე, შეხვდნენ აჭარაში, ე.წ. ოცნების ქალაქსა და ქუთაისის სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებლებს. ვიზიტების შედეგად გამოიკვეთა გამოწვევები, რომელიც ორგანიზაციისთვის შემდგომი წლების კვლევისა და ადვოკატირების საგანი იქნება. ვიზიტებთან ერთად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი სტრატეგიულ სამართალწარმოებასაც ახორციელებდა. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანეს პრეცედენტს წარმოადგენდა ორგანიზაციის მიერ მოგებული საქმე, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საცხოვ-



ვიდეო



 **სტატია: გამოსახლების საფრთხეები COVID-19-ის პანდემიის დროს და მის შემდეგ**

რისით უზრუნველყოფის დროს ერთ ადამიანზე 6.4 კვ.მ ფართის გამოყოფა სათანადო საცხოვრებლის უფლებას არღვევს.

მიმდინარე წელს ორგანიზაციამ გააანალიზა გამოსახლების რეგულირების თავისებურებები და არაერთი რეკომენდაციით მიმართა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრის შესახებ. კერძოდ, ანალიტიკურმა დოკუმენტმა – “გამოსახლების საფრთხეები COVID-19-ის პანდემიის დროს და მის შემდეგ” – აღწერა ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ამ სფეროში არსებობს, COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში გააა-

ნალიზა არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის მექანიზმები. ორგანიზაცია სამართლებრივად ეხმარებოდა “ოქროს უბნის” ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც გამოსახლებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წინაშეა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი ასევე მონაწილეობდა სამშენებლო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და აღსრულების კოდექსის პროექტის საპარლამენტო განხილვებში, ასევე, შეაფასა და საჯაროდ გამოეხმაურა აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს და სახელმწიფოს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა.

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 5 მანცხადება

 1 ვიდეო

 1 ფოტორეპორტაჟი

 1 სტატია

შშმ პირთა უფლებები

2021 წლის განმავლობაში სოციალური სამართლიანობის ცენტრი აქტიურად ცდილობდა შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული სისტემური გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას როგორც ინდივიდუალურად, ასევე შშმ თემთან და ორგანიზაციებთან ერთად.

მიმდინარე წელს ორგანიზაცია მუშაობდა, ერთი მხრივ, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ პრობლემებზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ სისტემურ ხარვეზებზე, რაც შშმ პირთა მხარდამჭერ პოლიტიკაში არსებობს.

მიმდინარე წელს, ორგანიზაცია არაერთ შშმ აქტივისტთან და თემაზე მომუშავე ორგანიზაციასთან ერთად გამოეხმაურა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა, “შშმ პირთა უფლებების შესახებ” კანონით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან დაგვიანებით შესრულება, შშმ პირთა კონვენციის განხორციელების მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების გარანტიების ნაკლებობა, შშმ პირთა სოციალური პაკეტის ზრდის აუცილებლობა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს ორგანიზაციამ რამდენიმე მსხვილ მიმართულებაზე გაამახვილა ყურადღება. მაგალითისთვის, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ადამიანის უფლებების ქრილში შეაფასა სფეროში არსებული პრობლემური საკითხები, ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად გააანალიზა ფსიქიკური ჯანმრთელობის 2021-2030 წლების სტრატეგიის სამუშაო ვერსია, გამოყო ის საკითხები, რომელიც სათანადოდ უნდა მოიცვას მომდევნო წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკამ და მთავრობას არაერთი რეკომენდაციით მიმართა.

საცხოვრისი
1.25%
რეაბილიტაცია
0.41%

ვიდეო: რატომ ცხოვრობენ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ადამიანები კვლავ დიდ დაწესებულებებში?

ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ ფოკუსს წარმოადგენდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის შინაარსი, სტაციონარული სერვისების განკერძოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მისი სათანადო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის საკითხები.




ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ორგანიზაცია ფოკუსირდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ ისეთ გამოწვევებზეც, როგორცაა, ფსიქიკური ჯანმრთელობა COVID-19-ის პანდემიის პირობებში, ქმედუნარიანობის ჩავარდნილი რეფორმა და ამ რეფორმის განხორციელების სხვადასხვა ასპექტები – მათ შორის, სოციალური მუშაობის როლი ამ მიმართულებით, მისი კავშირი შშმ პირთათვის სტატუსის მინიჭების პროცედურებთან, ქრონიკული ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებზე ზრუნვის პოლიტიკა, შშმ პირთა ინსტიტუციონალიზაციის პრაქტიკა, დეინსტიტუციონალიზაცია და საცხოვრისის სერვისების მნიშვნელობა მოცემულ პროცესში. დამატებით, ორგანიზაციამ გამოაქვეყნა თარგმანების კრებული და სტატიების სერია – “ფსიქიატრიის გადააზრება – 5 პერსპექტი-

ვა”, რომელშიც მიმოხილულია ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების თანაკვეთისა და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანების ჩაგვრის სხვადასხვა ასპექტი.



 ბლოგი

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 4 მანცხადება	 6 ვიდეო
 6 ანალიტიკური დოკუმენტი	 6 სტატია
 1 თარგმანების კრებული	 3 ბლოგი

მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა მართლმსაჯულების და სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციურ რეფორმებზე. ცხადია, სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზებისა და მათზე არამართლზომიერი გავლენების გაძლიერების პირობებში, ეს საკითხები კვლავაც აქტუალურია ორგანიზაციისთვის. თუმცა, ინსტიტუციური გამოწვევების პარალელურად, მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს სასამართლოს თუ სამართალდამცავი უწყებების სოციალური მგრძობელობა, სისხლის სამართლის პოლიტიკა და ზოგადად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

2021 წელს ფაქტობრივად არც ერთი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური რეფორმა არ გატარებულა მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერებისთვის, მათი პოლიტიკური თუ ოპერაციული დამოუკიდებლობის გაზრდისთვის. გასულ წელს კიდევ ერთხელ იჩინა თავი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ქარბმა ძალაუფლებამ და გარე ზედამხედველობის მექანიზმების სისუსტემ. მწვავე ინსტიტუციური გამოწვევების პარალელურად, დღის წესრიგში დადგა ზოგადად არსებული მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა და სისხლის სამართლის პოლიტიკა. კერძოდ, რამდენად საკმარისია ქართული სასამართლოს და სამართალდამცავი სისტემის სოციალური მგრძობელობა და რამდენადაა ეს უწყებები ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებული.

სასამართლო სისტემა

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების მიზნით, ორგანიზაციამ 2021 წელს შეიმუშავა უნივერსალური მეთოდოლოგიური ჩარჩო ყველა იმ ფაქტორის შესასწავლად, რომლებიც ხელს უშლის ინდივიდებს მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომაში.

ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გასულ წელს ჩატარებული კვლევით გამოავლინა, რომ გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბარიერებისა, ქვეყანაში არსებობს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ხარისხს რიგითი მოქალაქეებისთვის და ცალკეული ჯგუფებისთვის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ფარავს ქვეყანაში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებულ ზოგად სურათს, მანამდე არ შექმნილა საქართველოში.

სასამართლო საკითხებთან მიმართებით და აქტივისტური ჯგუფების ჩამოყალიბება პროგრამის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია. შესაბამისად, ეს შრომა საფუძველად დაედება აკადემიური სილაბუსის შემუშავებას, რომელიც შემდგომში შეთავაზებული იქნება უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

რაც შეეხება მართლმსაჯულების ინსტიტუციურ რეფორმებს, უკანასკნელი ერთი წელი სასამართლო სისტემის რეფორმირების მიმართულებით განსაკუთრებული გამოწვევებით ხასიათდებოდა. 2021 წელს უფრო ცხადად გამოჩნდა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აქტორებისთვის ქართული სასამართლო სისტემის საქმიანობაში შიდა და გარე გავლენების არსებობა. ამავდროულად, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელისუფლებას არ აქვს დამოუკიდებელი და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი სასამართლოს შექმნის ნება. არსებული პრობლემების მოგვარებას ვერც 19 აპრილის შეთანხმებამ შეუწყო ხელი, სადაც ხაზგასმით იყო მითითებული მართლმსაჯულების სისტემური რეფორმის საჭიროებაზე. სამწუხაროდ, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, პროფესიული ჯგუფების და საერთაშორისო აქტორების მოთხოვნის მიუხედავად, ხელისუფლებამ 19 აპრილის შეთანხმებით გაჩენილი შესაძლებლობაც არ გამოიყენა და კიდევ ერთხელ ჩავარდა სასამართლოს ფუნდამენტური რეფორმის პერსპექტივა. გასულმა წელმა ასევე აჩვენა, რომ სასამართლო რეფორმის მანამდე არჩეული სტრატეგია და მიდგომა, უბრალოდ არაეფექტურია, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებული მოდელის კრიტიკითაც დასტურდება.



ვიდეო: რატომ ჭიანურდება საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეების განხილვა?

ორგანიზაცია, ასევე, აგრძელებს სოციალურად მგრძობიარე სასამართლოს საკითხებზე მუშაობას და 2021 წლის ბოლოს შექმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ქართულ კონტექსტთან შესაბამისობაში გააანალიზებს ამ მიმართულებით არსებულ საინტერესო აკადემიურ მასალას. საზოგადოების მგრძობელობის ამაღლება









ვიდეო: რატომ არაა სასამართლო დამოუკიდებელი?

2021 წლის გაზაფხულზე სოციალური სამართლიანობის ცენტრი პირველად იქნა არჩეული „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“-ის¹ (შემდგომში – კოალიცია) თავმჯდომარედ, ხოლო ნოემბერში კიდევ ერთი წლის ვადით გახანგრძლივდა ორგანიზაციის თავმჯდომარეობის ვადა. გასულ წელს, კოალიციური საქმიანობის დიდი ნაწილი დაეთმო მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ახალი ხედვების შემუშავებას, რომელიც ქვეყანაში არსებული გამოწვევების ადეკვატური იქნებოდა. გასული წლის ზაფხულში კოალიცი-

ის მიერ მომზადდა რეფორმის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა სასამართლო სისტემის მართვის ლოგიკის რადიკალური ცვლილებას, ამ პროცესში პოლიტიკური კონსენსუსის საჭიროების გაძლიერებას და ამავდროულად, რეალური საზოგადოებრივი ნდობის მოსაპოვებლად სასამართლო კორპუსის გადახალისებას.

სისტემის ინსტიტუციური რეფორმის აუცილებლობაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია ყოფილი მოსამართლის, მაია ბაქრაძის საქმე, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსხვავებული აზრის დევნისა და მოსამართლეთა დანიშვნის კუთხით მიღებული თვითნებური გადაწყვეტილებების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მაია ბაქრაძის ინტერესებს სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოადგენს. შესაბამისად, 6 ოქტომბერს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მაია ბაქრაძის საქმის არსებითი განხილვის დაწყების შესახებ, ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულება იქნება მომდევნო წელსაც.

2021 წელს ამ მიმართულებით მომზადდა:

 21 მანცხადება	 1 პრაქტიკული სახელმძღვანელო
 1 კვლევა	 5 ვიდეო
 3 ანალიტიკური დოკუმენტი	 1 ბლოგი

¹ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის 2011 წლის 29 აპრილს შეიქმნა და 40 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის მიზანია ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციებისა და მედიის წარმომადგენლების ძალისხმევით გაერთიანება დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის შესაქმნელად. კოალიციის საქმიანობაზე უფრო მეტი: <https://cutt.ly/OArYIUQ>

სამართალდამცავი სისტემა

არაანგარიშვალდებული და პოლიტიზებული სამართალდამცავი ორგანოები კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის. დაბალი სოციალური მგრძობელობის მქონე და დასჯაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაკუთრებით პრობლემურია პანდემიის პერიოდში, რასაც ბუნებრივად ახლავს სოციო-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ქვეყანაში.

სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციური რეფორმების ადვოკატირებისთვის სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2021 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოამზადა. გასული წლის ზაფხულში, IDFI-სთან (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) პარტნიორობით მომზადდა მოცულობითი კვლევა, რომელშიც გაანალიზებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა, მისი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციები. კვლევაში იდენტიფიცირებულია ის გამოწვევები და პრობლემები, რომლებიც ინსპექტორის სამსახურს წარმოეშობა გამოძიების პროცესში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ინსპექტორის სამსახური იძიებს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ ისეთ დანაშაულებს, როგორცაა უფლებამოსილების გადამეტება, არასათანადო მოპყრობა და ა.შ. ამ კუთხით, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს უწყების ინსტიტუციურ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას და ამ მიზნით, წარმოდგენილ კვლევაში არაერთი რეკომენდაციაა შემუშავებული.



ვიდეო: როგორი უნდა იყოს საგამოძიებო სისტემის რეფორმა

სოციალური სამართლიანობის ცენტრისთვის აგრეთვე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საგამოძიებო სისტემის რეფორმა. დღეის მდგომარეობით, გამოძიების პროცესში აღრეულია პროკურორის და გამოძიებლის ფუნქციები, გამოძიებელი აღქმულია არა როგორც დამოუკიდებელი აქტორი, არამედ ქცეულია პროკურატორის ინსტრუმენტად. ასეთი ვითარება კი საფრთხეს უქმნის ობიექტურ და სრულყოფილ გამოძიებას. საგამოძიებო სისტემის რეფორმის არგუმენტები და მისი მიმართულებები მოკლედ არის შეჯამებული ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ბროშურაში.



კვლევის პრეზენტაცია: “დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში – მიღწევები და არსებული გამოწვევები”

როგორც აღინიშნა, სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიზება კვლავაც მწვავე გამოწვევად რჩება. არსებული პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ მოსაგვარებლად, მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო 19 აპრილის შეთანხმება, სადაც საუბარი იყო პროკურატუ-



ვიდეო: რა მოტივები აქვს ქურდობა/ძარცვისა და ნარკოდანაშაულებს საქართველოში?

რის რეფორმასა და გენერალური პროკურორის პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე დანიშნვის აუცილებლობაზე. ამ საკითხზე გასული წლის ზაფხულში მმართველმა გუნდმა სპეციალური კანონპროექტიც მოამზადა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებდა პოლიტიკების რისკების შემცირებას. სამწუხაროდ, აღნიშნული კანონპროექტის განხილვაც, 19 აპრილის შეთანხმების ანუ-ლირების შემდეგ, განუსაზღვრელი ვადით შეჩერდა.

ინსტიტუციური გამოწვევების პარალელურად, დემოკრატიული და თანასწორი გარემოსთვის არანაკლებ მწვავე საფრთხეებს შეიცავს რეპრესიული სისხლის სამართლის

პოლიტიკა. გასულ წელს, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ორი მნიშვნელოვანი კვლევა მოამზადა დასჯაზე ორიენტირებული და დაბალი სოციალური მგრძობელობის სისხლის სამართლის პოლიტიკის და არსებული პრაქტიკის გასაანალიზებლად. კვლევებში კრიტიკულად არის შეფასებული თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკა და დასჯის სისტემა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია რეპრესიული მექანიზმებით ინდივიდების იზოლირებაზე. არსებული პოლიტიკა დღის წესრიგიდან გამოტოვებს იმ სოციო-ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა ფაქტორებს, რომლებიც, შესაძლოა, არსებითად განაპირობებდეს დანაშაულის ჩადენას.

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 24 მანცხადება	 1 თარგმანი
 3 კვლევა	 1 სტატია
 2 ანალიტიკური დოკუმენტი	 1 ინფორმაცივა
 5 ვიდეო	

ნარკოპოლიტიკა

რეპრესიული მართლმსაჯულების კონტექსტში, კვლავაც გამოსარჩევია ქართული ნარკოპოლიტიკა. სამწუხაროდ, გასულ წელსაც ნარკოპოლიტიკის სისტემური რეფორმა პოლიტიკური დღის წესრიგის მიღმა იყო დარჩენილი და მხოლოდ ფრაგმენტული, არასაკმარისი ცვლილებები შევიდა ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების განმსაზღვრელ კანონმდებლობაში.

ორგანიზაციის მიერ მომზადებულ წლიურ შეჯამებაში კიდევ ერთხელ არის გამოკვეთილი, რომ ქართული ნარკოპოლიტიკა ამ დრომდე ინარჩუნებს სადამსჯელო ბუნებას, რომლის მიზანიც არა ადამიანების მხარდაჭერა, არამედ მათი კონტროლი და იზოლაციაა. გამოწვევად რჩება არასაკმარისი სამკურნალო-სარეაბი-







ბოლო წლებში, ქართული ნარკოპოლიტიკის ფორმირება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ხდება. შესაბამისად, 2021 წელს ორგანიზაციამ ასევე მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც შეფასებულია, რამდენად ეფექტიანად და სრულყოფილად ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნარკოპოლიტიკისთვის რელევანტურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება და პარლამენტის მიერ სათანადო საკანონმდებლო აქტების შემუშავება. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოსახლეობაში ხშირად აღიქმება გადაჭარბებულად, რაც თავის მხრივ ზრდის დანაშაულის გაუცნობიერებლად ჩადენის რისკებს. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, გასულ წელს ორგანიზაციამ მოამზადა საინფორმაციო ბროშურა, რომელშიც შეჯამებულია ბოლო წლებში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები და ის, თუ რა ქმედებებზეა შენარჩუნებული ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. დოკუმენტი ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი.



ვიდეო: თემო ხატიაშვილი – ჩანაცვლებითი მკურნალობის პრობლემები ციხეებში

ლიტაცის პროგრამები. ამ კუთხით გამოსარჩევია პენიტენციურ დაწესებულებებში მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის კუთხით არსებული გამოწვევები, რის გამოც მსჯავრდებულებისთვის დღემდე არ არის ხანგრძლივი ჩანაცვლებითი მკურნალობა ხელმისაწვდომი.


2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 3 მანცხადება	 1 ვიდეო
 1 ანბარიში	 1 ბლოგი
 2 ანალიტიკური დოკუმენტი	 3 ინფორმაცია

პოლიცია და ძალის გადახმება

პოლიტიკური პროცესების მართვისას და წესრიგის დამყარებისას საპოლიციო, რეპრესიულ მექანიზმებზე აქცენტის გაკეთება ბუნებრივად იწვევს ქარბ საპოლიციო ძალადობას. ამ მხრივ გამონაკლისი არც გასული წელი ყოფილა და არაერთი შემთხვევა ვიხილეთ, როდესაც სოციალურ თუ პოლიტიკურ კონფლიქტების მოგვარებას ხელისუფლება მხოლოდ პოლიციის და სპეცრაზმის ძალით ცდილობდა.

ნამოხვანის პროტესტი ამის მკაფიო დადასტურებაა, როდესაც თვეების განმავლობაში შეზღუდული იყო ჰესის მიმდებარე სოფლებში თავისუფალი გადაადგილება და მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობა. აღნიშნულ საკითხებზე ორგანიზაციამ სპეციალური ანგარიშიც მოამზადა, სადაც შეჭამებულია ადგილზე გამოყენებული საპოლიციო ძალის დასაბუთებულობა და პროპორციულობა.



ვიდეო

მეორე მხრივ, სახელმწიფო და სამართალდამცავი სისტემა იყო უკიდურესად არაეფექტური ცალკეული ჩაგრული ჯგუფების დაცვის კუთხით. ამის მკაფიო და სამწუხარო დადასტურება იყო 5-6 ივლისის მოვლენები, როდესაც სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მოძრაობა „პრაიდის“ მიერ მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობა და ამის სანაცვლოდ, დემონსტრაციულად გაუხსნეს გზა ძალადობრივ ჯგუფებს. ამ მოვლენების დროს სახელმწიფოს ეფექტიანობაზე მომზადებულ პირველად ანალიზში მკაფიოდ ჩანს, რომ ხე-

ლისუფლებამ ცალსახად არასაკმარისი ზომები მიიღო ძალადობის პრევენციისთვის. აგრეთვე პრობლემური და არაეფექტიანია ამ ფაქტებზე წარმოებული გამოძიება, რომელიც მხოლოდ ცალკეულ ძალადობრივ ინციდენტებზეა ორიენტირებული და ყურადღების მიღმა ტოვებს ორგანიზატორების პასუხისმგებლობას.

სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეების უფლებების მასობრივი დარღვევის ნიშნებს ატარებდა გასული წლის სექტემბერში მედიების მიერ გასაჯაროებული უკანონო მოსმენის და მიყურადების ფაქტები. სამწუხაროდ, აღნიშნულმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად სუსტია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე გარე ანგარიშვალდებულების და მეთვალყურეობის რისკები და მეორე მხრივ, რამხელა რისკებს აჩენს ამ უწყებაში თავმოყრილი ქარბი ძალაუფლება ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. მოსმენა-მიყურადებაზე და კონტრდაზვერვითი მიზნებით ამ ინსტრუმენტების გამოყენებაზე სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ასევე მოამზადა კვლევა, სადაც სიღრმისეულად არის ნაჩვენები ის საკანონმდებლო და ინსტიტუციური პრობლემები, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აძლევს შესაძლებლობას, თვითნებურად და არამართლზომიერად ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში. უკანონო მოსმენების საკითხზე ორგანიზაცია ასევე აწარმოებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

- 2 მანცხადება
- 1 ანალიტიკური დოკუმენტი

თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა

2021 წელს კვლავ ვიხილეთ რელიგიური და ეთნიკური კონოტაციის მქონე სოციალური კონფლიქტები ჩვენს ქვეყანაში, თუმცა, ისინი ხელისუფლებისთვის თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკაში პოზიტიური გარდაქმნებისა და არსებითი რეფორმების სიგნალი ისევ არ გახდა. მეტიც, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინასაარჩევნო პროცესებმა და ხელისუფლების მხრიდან მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების გამოცდილებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, ამ რეგიონების სუსტი ინტეგრაციის პოლიტიკის, დემოკრატიიდან გამორიცხვისა და პერიფერიზაციის პოლიტიკური განზრახვები.

მიმდინარე წელს თვალშისაცემი იყო არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების აქტივისტების თვითორგანიზების უნიკალური პროცესი. აქტივისტური ჯგუფები აქტიურად აყენებდნენ მათი თემის წუხილებსა და საჭიროებებს, თუმცა, ფორმალური პოლიტიკა ამ კრიტიკული ხმების მიმართ მაინც დახურულია.

2021 წელს კვლავ მწვავედ წამოიჭრა ულტამემარჯვენე ჯგუფების რადიკალიზებისა და ძალადობის პრობლემა. წლების განმავლობაში ამ ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობის მიმართ სახელმწიფოს შემწყნარებლურმა პოლიტიკამ და დაუსჯელობამ კიდევ უფრო გაზარდა ამ ჯგუფებისგან მომავალი საფრთხეები. ამ კუთხით განსაკუთრებით შემაშფოთებელი 2021 წლის 5-6 ივლისს, „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოვლენილი მასობრივი, წინასწარ ორგანიზებული ძალადობა ალტ-ინფოს ჯგუფის ლიდერების მხრიდან, რასაც 52 ჟურნალისტის უფლების და პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, მათ შორის, რამდენიმე მათგანის მიმართ ძალადობა მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენების გამოძიება ამ დრომდე **ფრაგმენტულად მიმდინარეობს** და აშკარად არ იკვეთება ხელისუფლების პოლიტიკური ნება, სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს ძალადობრივი შეკრების ორგანიზატორებს. ამ ფონზე სწორედ ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა ამ ჯგუფების მიერ პარტიებისა და ტელევიზიების დაფუძნება და ინსტიტუციური პოლიტიკის ველში მკვეთრად ანტიდემოკრატიული ძალების შემოსვლა.

პოლიტიკური პოლარიზების, სუსტი დემოკრატიზაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის პირობებში არსებითად შეუძლებელი ხდება ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკური საკითხებზე მუშაობა, რომელიც კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას და შერიგების პოლიტიკის ახალ საფეხურზე აყვანას დაუკავშირდება.

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობა

2021 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრი აქტიურად მუშაობდა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკის საკითხებზე. ორგანიზაცია, ერთი მხრივ, პასუხობდა იმ კონფლიქტურ გამოცდილებებს, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გვხვდებოდა, მეორე მხრივ კი, ინტეგრაციის პოლიტიკის გრძელვადიან პოზიტიურ ცვლილებებზე მუშაობდა. 2021 წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მოახერხა ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება.

მიმდინარე წელს ორგანიზაცია აქტიურად აყენებდა დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ სისტემურ გამოწვევებს, რომელიც დაბალ პოლიტიკურ რეპრეზენტაციას და მონაწილეობას, უმაღლესი ორგანოების წინაშე ეთნიკური უმცირესობებისთვის საკონსულტაციო მექანიზმების არარსებობას, საჯარო სამსახურებში ეთნიკური უმცირესობების მკვეთრად დაბალ დასაქმებას, ეთნიკური უმცირესობების სკოლებსა და სექტორებში განათლებაზე ხელმისაწვდომის ძირეულ გამოწვევებს უკავშირდება. ამ მცდელობების მიუხედავად, პოლიტიკური პოლარიზებისა და კრიზისის გარემო არ იძლეოდა სოციალურ და უფლებრივ საკითხებზე პარტიებისა და სახელმწიფო უწყებების მობილიზებისა და რეფორმების გატარების შესაძლებლობას.

2021 წლის 16-17 მაისს დმანისის მუნიციპალიტეტში დაპირისპირება, რომელიც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაიწყო, შემდგომში ეთნიკურ ჯგუფებს შორის მძიმე დაპირისპირებაში გადაიზარდა. კონფლიქტი სოციალური სამართლიანობის ცენტრმა იკვლია და სანდო საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით ადგილობრივ თემებთან სადისკუსიო შეხვედრები გამართა. კვლევასა და ადგილობრივ თემებთან დიალოგზე დაფუძნებული სარეკომენდაციო ხედვები, რომელიც კონფლიქტის გრძელვადიანი გარდაქმნის ხედვებს მოიცავდა, ორგანიზაციამ სახელმწიფო უწყებებს გაუზიარა.

მიმდინარე წლის იანვარში მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი მეორე ქესალოს მოსახლეობასა და მარნეულისა და ჰუჭაბის ეპარქიის წარმომადგენლებს შორის დაძაბულობა წარმოიქმნა. ადგილობრივი გლეხები სოფლის გარშემო მდებარე სახელმწიფო ბალანსზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწების სარგებლობის უფლების მოპოვებას ითხოვენ, რის უფლებაც მათ ადგილობრივი ეპარქია არ აძლევს. სოციალური სამართლიანობის ცენტრი ცდილობდა ადგილობრივი გლეხების დახმარებას, იჯარით გადაცემით თხოვნით ორგანიზაციამ მოამზადა კოლექტიური მიმართვა უწყებების მიმართ



ვიდეო: რატომ ვერ საქმდებიან ეთნიკური უმცირესობები საჯარო სამსახურებში?

და მოლაპარაკებების პროცესშიც ჩაერთო, რომელსაც ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული და ადგილობრივი ხელისუფლება აორგანიზებდა. სამწუხაროდ, ამ პროცესმა შედეგი არ გამოიღო. ჩვენ ადგილობრივ გლეხებზე უკანონო ზეწოლის ნიშნებიც შევამჩნიეთ.

მიმდინარე წელს ჩანდა, რომ ხელისუფლება საკმარისად გახსნილი არ იყო ეთნიკური უმცირესობების თემებში გაჩენილი ინიციატივების მიმართ. ხელისუფლება არ გაიზიარა ადგილობრივი აქტივისტების ინიციატივა ნოვრუბ ბაირამის უქმედ გამოცხადების თაობაზე. საქართველოს პარლამენტმა კი ტექნიკური მიზეზით არ დაარეგისტრირა პლატფორმა სალამის მიერ ორგანიზებული საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც ისინი ავთენტური გვარების დაბრუნებას ითხოვდნენ. ეს გადაწყვეტილება დღეს გასაჩივრებულია სასამართლოში, სადაც პეტიციის ავტორების უფლებებს სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავს.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდებოდა. კვლავ ჩანდა ხელისუფლების მხრიდან ამ რეგიონებში მცხოვრები თემების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ნიშნები. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ქვემო ქართლისა და ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე საარჩევნო პროცესები შეაფასა. მანამდე ორგანიზაცია ცდილობდა პარტიებისა და მერის კანდიდა-



ვიდეო: როგორია წინასაარჩევნო პერიოდი ეთნიკური უმცირესობებისთვის?

ტების წინაშე ადგილობრივი თემების საჭიროებები აქტიურად დაეყენებინა და მათთან საზოგადოებრივი შეხვედრების ციკლი გამართა.

მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრი აქტიურად აყენებდა დღის წესრიგში ჯავახეთში ათასობით ეთნიკურად სომეხი მოქალაქის, ასევე მუსლიმი მესხების მოქალაქეობის საკითხები, თუმცა ამ პროცესს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

მიმდინარე წელს ორგანიზაციამ აქტიური სამუშაოები გაწია ჯავახეთის რეგიონშიც. ჩატარდა სავლელე გასვლები 25-მდე სოფელში ნინოწმინდასა და ახალქალაქში. მთელი ეს პერიოდი ორგანიზაცია აქტიურად წერდა ანალიტიკურ ტექსტებსა და ბლოგებს ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი თემის გამოწვევების შესახებ.

მიმდინარე წელს ორგანიზაცია აქტიურად ცდილობდა სამართლებრივი დავის მექანიზმებით ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას და ჩვენს წარმოებაში იყო ისეთი საქმეები, როგორცაა მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დროს უმცირესობების ენის არგამოყენების მანკიერი პრაქტიკა, სოფელ სავანეთში ფერმისგან მომდინარე გარემოსდაცვითი პრობლემები, კომპანია „აკელიქსის“ მიერ მშრომელთა უფლებების დარღვევის ფაქტები და ა.შ.

2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აგრძელებდა თემირლან მაჩა-



ვიდეო: პოლიტიკური მონაწილეობა და ეთნიკური უმცირესობების როლი



კონფერენცია: "თემთაშორისი ურთიერთობები, მიკრო კონფლიქტები და ინტეგრაციის პოლიტიკა"

ლიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმის განხილვას, სადაც სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა კვლავ დაუსაბუთებელი და დებინფორმაციული პოზიციების დაკავებას ცდილობდა. საგანგაშო იყო ადგილობრივი უხუცესის, ჯაბრაილ ხანგოშვილისთვის მოქალაქეობაზე და შემდეგ უკვე ბინადრობის ნებართვაზე უარის საქმე, სადაც ამკარად გამოჩნდა პოლიტიკურ დაინტერესების და თვითნებობის ნიშნები.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ათწლიანი (2021-2030) სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. უნდა ითქვას, სტრატეგიის ენა და პათოსი კრიტიკული და თვითრეფლექსიური და მნიშვნელოვან პრინციპებს აღიარებს. თუმცა, ამ ფონზე მიღებული, მაგალითად, ისეთი გადაწყვეტილება, როგორცაა 2021 წელს პარლამენტში დიასპორის კომიტეტის ქვეშ ეროვნული უმცირესობების საბჭოს შექმნა, სტრატეგიით გაცხადებული პრინციპებთან მკვეთ წინააღმდეგობაში მოდის. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სტრატეგიის დოკუმენტს არსებითად ახალი და მნიშვნელოვანი ხედვები და გეგმები არ წარმოუდგენია, რაც ამ სფეროში მნიშვნელოვანი გარდაქმნების მოლოდინებს არ ქმნის. სოციალური სამარ-

თლიანობის ცენტრმა სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო და შეფასების და რეკომენდაციების დოკუმენტები წარადგინა.

ამავდროულად, ორგანიზაცია ცდილობდა არადომინანტური ეთნიკური თემების აქტივისტების გაძლიერებას და მათი ინიციატივების დემოკრატიულ მხარდაჭერას. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მხარდაჭერით მოქმედი სოლიდარობის პლატფორმა, რომელიც აერთიანებს აქტივისტებს სხვადასხვა რეგიონიდან და ეთნიკური და რელიგიური ჯგუფიდან, აგრძელებდა აქტიურობას და შეხვედრებს პარტიებთან, სახელმწიფო უწყებებთან. პლატფორმა აქტივისტების სოლიდარობის და კრიტიკული ფიქრის უნიკალური სივრცეა.

ამავდროულად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი აორგანიზებდა ქვემო ქართლის რეგიონში მასწავლებელთა ქსელს, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში მუშაობის გამოცდილება აქვთ და ცდილობდა სათემო ცხოვრებაში და აქტივიზმში მასწავლებლების როლის წარმოჩინებასა და გაძლიერებას.




"მასწავლებელთა ქსელის" მონაწილეებისა და ქვემო ქართლის სათემო ცენტრების წარმომადგენლების შეხვედრა

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 16 ბანცხადება

 8 ანალიტიკური დოკუმენტი

 16 ვიდეო

 3 სტატია

 3 ბლოგი

 1 ინფორმაციკა

რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა

რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის კუთხით 2021 წელს იმედის- მომცემი ცვლილებები ან გადაწყვეტილებები ხელისუფლებას არ მიუღია.

2021 წლის დასაწყისში ქართველი მუსლიმი თემის რელიგიური შევიწროების კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა სოფელ ბუკნარში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), რომელმაც თემთაშორისი კონფლიქტის ფორმა მიიღო. პოლიციამ მუქარისა და ძალადობის სხვადასხვა ეპიზოდში 2 ადამიანი დააკავა. კონფლიქტის ესკალაციამდე ადგილობრივი ხელისუფლება რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდა სიტუაციის ნორმალიზებას, თუმცა, მას საკმარისი ნდობა და რესურსი ვერ აღმოაჩნდა კონფლიქტის პრევენციისთვის, ცენტრალური ხელისუფლების ინტერვენცია კი დაგვიანებული აღმოჩნდა. სოფელ ბუკნარში გამოვლენილი კონფლიქტი იმეორებს წარსულში მომხდარი მსგავსი კონფლიქტების შინაარსს. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა აღნიშნული კონფლიქტი შეისწავლა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ადგილობრივ თემებთან სადისკუსიო შეხვედრები გამართა. კონფლიქტის გრძელვადიან ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ჩვენ სახელმწიფო უწყებებს გავუზიარეთ.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარა 2014 წლის ოქტომბერში სოფელ მოხეში პოლიციის მხრიდან ქართველი მუსლიმების უფლების შეზღუდვის ფაქტები. აღნიშნულ საქმეს ევროპულ სასამართლოში სოციალური სამართლიანობის ცენტრი აწარმოებდა.

მიმდინარე წელს კვლავ დღის წესრიგში იდგა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს



ვიდეო: რელიგია, როგორც თავისუფლების სფერო

მსგავსად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მეჩეთის უარის უკანონო და დისკრიმინაციული შინაარსის აღიარების მიუხედავად, ბათუმის მეჩეთმა ეს გადაწყვეტილება მანკ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და კვლავ პროცესის გაჭიანურების სტრატეგიას მიმართა. მუსლიმი თემის ინტერესებს სასამართლოში სოციალური სამართლიანობის ცენტრი და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) იცავენ.

მიმდინარე წელი კრიზისული იყო მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც. 2021 წლის აპრილში დაძაბულობის ადგილად იქცა ნინოწმინდის რელიგიური პანსიონატი. პროკურატურამ პანსიონატში გამოვლენილი ძალადობის ფაქტებზე დაიწყო გამოძიება, თუმცა, ამ დრომდე მისი შედეგები საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავს ერთ-ერთი დაზარალებულის ინტერესებს გამოძიების წინაშე.

2021 წლის 13 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდოდ

უკანონო მოსმენების ამსახველი ინფორმაცია. გავრცელებული კრებსების შინაარსმა დაადასტურა ერთი მხრივ, ხელისუფლების მხრიდან სასულიერო პირების მასობრივი და ტოტალური კონტროლის და მეორე მხრივ, საპატრიარქოს არსებული ხელისუფლების ღია მხარდაჭერის ნიშნები. სოციალური სამართლიანობის ცენტრი გამოძიების წინაშე იცავს 4 სასულიერო პირის ინტერესებს. დაგეგმილია დავის გაგრძელება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2021 წელს კვლავ დაძაბული მდგომარეობა იყო ქყონდიდის ეპარქიაში. ეპარქიის დროებით მმართველად დანიშნული ეპისკოპოსის სტეფანე კალაიჭაშვილისა და მასთან

დაკავშირებული სხვა ჯგუფების მხრიდან კრიტიკულად განწყობილი სასულიერო პირების დევნამ მძიმე შინაარსი შეიძინა და მათი განკვეთის, მონასტრებიდან გაძევების და იძულების სხვა ფორმა მიიღო. ამ პროცესში სასულიერო პირებისა და მათი მხარდამჭერების ინტერესებს გამოძიების წინაშე სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავს.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა დაიწყო აჭარაში კრიტიკული პოლიტიკის სკოლის ამუშავება, რომელიც 25-მდე საინტერესო ახალგაზრდა აქტივისტს აერთიანებს და მათ კრიტიკული ფიქრის, სოლიდარობისა და თვითორგანიზების რესურსებს უზიარებს.



 აჭარის კრიტიკული პოლიტიკის სკოლის შეხვედრა ხულოში

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 16 ბანცხადება

 6 სტატია

 2 ანალიტიკური დოკუმენტი

 7 ბლოგი

 6 ვიდეო

ადამიანის უფლებები კონფლიქტის რეგიონებში

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა კონფლიქტის რეგიონებში არ გაუმჯობესებულა 2021 წელს. მნიშვნელოვანია, რომ შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 2021 წელს დაიწყო ჩართულობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლებაზე მუშაობა, რომელიც 2010 წლის შემდეგ არ განახლებულა.

სამწუხაროდ, ეს პროცესი საკმარისად ღია არ არის და სოციალური სამართლიანობის ცენტრს მასში მონაწილეობის მაღალი ინტერესის მიუხედავად ამის შესაძლებლობა არ მიეცა. ამის მიუხედავად, ორგანიზაცია მიმდინარე წელს აქტიურად ცდილობდა პოლიტიკის კვლევას და საჯარო დისკუსიების წახალისებას სამშვიდობო პოლიტიკაზე.

გალში და ახალგორში გრძელდება ეთნიკურად ქართველების მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკები, მათ შორის 2021 წელს გალის სკოლებში სრულად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება.

ამ გადაწყვეტილებით პრაქტიკულად დასრულდა რუსიფიკაციის პროცესი გალის სკოლებში, რომლებიც წლების წინ დაიწყო. იგივე მდგომარეობა ახალგორის საგანმანათლებლო სექტორშიც. კვლავ ვერ ხერხდება კონფლიქტის რეგიონებთან მიმოსვლის რეჟიმის გაუმჯობესება, რასაც 2021 წელს არაერთი ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის შედეგად ასევე გრძელდებოდა უკანონო დაკავებების პრაქტიკაც. აღნიშნულ საკითხებზე სოციალური სამართლიანობის ცენტრი ცდილობდა საჯარო გამოხმაურებებისა და დისკუსიის ორგანიზებას.

გალი - ორმაგი გამოტოვების ადგილი

გალში მცხოვრები ქართველების განათლების უფლებასთან დაკავშირებული გამოწვევები



26 ოქტომბერი
17:00 სთ



ონლაინ დისკუსია: გალი - ორმაგი გამოტოვების ადგილი

გამყოფი ხაზების მიმდებარედ ადამიანების ომისგან დანგრეულ სახლებში ღირსების შემლახავ და არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ. მათ დიდ ნაწილს კი შეზღუდული აქვს წვდომა სასიცოცხლო რესურსებსა და საბაზისო სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, მაგალითად როგორცაა, სასმელი წყალი, სარწყავი წყალი, საძოვრები, ამბულატორიები, საბავშვო ბაღები. მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრი ეწვია გორის რაიონის სოფლებს და მათ იურიდიული და სამედიცინო სერვისები შესთავაზა.







სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიმდინარე წელს აქტიურად ცდილობდა იმ კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზს, რომელიც, ჩვენი აზრით, ხელს უშლის ნდობის აღდგენის პოლიტიკას. ორგანიზაციამ კრიტიკულად შეაფასა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი და ნეიტრალური პირადობის მოწმობის მუშაობის პრაქტიკა.

ორგანიზაცია აქტიურად ეწეოდა ნახევრად აკადემიურ საქმიანობას და თარგმნიდა და მიმოხილვებს ამზადებდა კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის თეორიებსა და მიდგომებზე.



 პოდკასტი

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 11 განცხადება	 1 ფოტორეპორტაჟი
 1 თარგმანი	 1 პოდკასტი
 3 ვიდეო	 8 სტატია

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საქართველოში მუსლიმი ქალების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის კვლევაზე იმუშავა და მოიცვა, როგორც მაღალმთიან აჭარაში, ისევე ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალების ყოფა. კვლევა ინტერსექციული კვლევის მეთოდებით აღწერს ქალების ცხოვრებას და ექსკლუზიას პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ განზომილებებში.



ვიდეო: მუსლიმი ქალების ყოფა – სირთულეები და დაბრკოლებები



ვიდეო: ახალგაზრდა გოგონები ჯავახეთის რეგიონიდან

მიმდინარე წელს ორგანიზაცია ასევე აქტიურად ცდილობდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემებიდან ქალების საჭიროებების საჯაროდ დაყენებას და მათი უფლებების დაცვას ადვოკატირებისა და იურიდიული დახმარების მექანიზმებით. მათ შორის, ორგანიზაციამ წარადგინა საბიუჯეტო წინადადებები ადგილობრივ ქალ ლიდერებთან ერთად და მათ საჭიროებებზე მიმართული პოლიტიკის გატარება მოითხოვა აჭარაში.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი ადგილობრივი აქტივისტებისა და მათი გაერთიანებების მხარდაჭერით ცდილობდა ქალთა ცოდნის გაძლიერებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. სამართლებრივ მხარდაჭერასთან ერთად, ორგანიზაცია ქალებს სამედიცინო მხარდაჭერასაც სთავაზობდა.

ორგანიზაციამ ასევე მოამზადა კრიტიკული ტექსტების თარგმანები ქალთა შრომისა და სოციალური კლავნარმოების საკითხებზე. თარგმანების ახალი კრებული მათ შორის მოიცავს სიუზან ფერგიუსონის, ნენსი ფრეიზერის, მაიკლ ჰარდტის, სილვია ფედერიჩის ტექსტებს.

უფრო მეტიც, ორგანიზაციამ ხელი შეუწყო კვლევაზე დაფუძნებულ სამუშაოებს გენდერის პოლიტიკის სფეროში, რომელიც მათ შორის მოიცავდა ისეთ კვლევით პროექტებს, როგორცაა, 1. კლიმატის ცვლილება და სოფლად მცხოვრები ქალების შრომა; 2. პირადი პრობლემები – საყოველთაო პასუხისმგებლობა; 3. ემანსიპაციისა და ექსპლუატაციის მიღმა: ქალები საბჭოთა საქართველოს კოლექტიურ მეურნეობებში 4. ემიგრანტი ქალების შრომა და ბრუნვის გლობალური ჯაჭვი.

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

5 მანცხადება	7 ვიდეო
1 კვლევა	1 პოდკასტი
1 თარგმანების კრებული	4 სტატია

ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა

ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და ჰომოფობიასთან ბრძოლა გამოწვევად რჩება ჩვენი სახელმწიფოსთვის.



ვიდეო: წინააღმდეგობა, როგორც ბრძოლა

ამის ნათელი მაგალითია 2021 წლის 5 ივლისს ულტრაკონსერვატიული ჯგუფების მიერ „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ ჩაშლა და ქუჩაში თემის წევრებზე, შურნალისტებზე ღიად ძალადობა. ლგბტი ადამიანებზე წინა წლებში სხვადასხვა რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფის მიერ ძალადობის შემთხვევების მსგავსად სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც გამოავლინა სრული უმოქმედობა. შსს-მ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ძალადობის ორგანიზატორების მიმართ სამართლებრივი რეაგირება. ანტიკონსტიტუციური და ანტიდემოკრატიული იყო იმ დღეებში პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის მიერ გაკეთებული პოპულისტური განცხადება, რომლითაც მან რეალურად 5-6 ივლისის ძალადობის დაშვება და ნორმალიზება მოახდინა.

ამ ფონზე ძალადობრივი აქციის ორგანიზატორების მხრიდან პოლიტიკური პარტიის დაფუძნება და რეგისტრაცია ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა. მთლიანობაში, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფების მიმართ ხელისუფლების მიერ გამოვლენილი პოლიტიკური და სამართლებრივი ლოიალობა, მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ნიშნებს აჩენს და შემაშფოთებელია. სამწუხაროა, რომ სახელმწიფოს არ ამ დრომდე არ აქვს ექსტრემისტული ჯგუფების საქმიანობის პრევენციის პოლიტიკა.

აღნიშნულ ფაქტებზე სოციალური სამართლიანობის ცენტრმა წარადგინა ჩრდილოვანი ანგარიში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე – „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის აღსრულების პროცესში.

ულტრაკონსერვატიული პოლიტიკის აღზევების საკითხებს დაეთმო სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ორგანიზებული მესამე ქვიარ ფორუმი, სადაც მოხსენებები ადგილობრივ მკვლევრებთან ერთად, ბოჟან ბილიჩმა და ანდრეა პეტომ წაიკითხეს. ორგანიზაციამ მოამზადა კრიტიკული ტექსტების თარგმანებიც.








 ბოჟან ბილიჩის მოხსენება: ქვიარ ცხოვრებაზე წერის ტკივილი და სიამოვნება

მიმდინარე წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ლგბტი ადამიანების სოციალური ექსკლუზიის მრავალმხრივ ანალიზს წარმოადგენს და მოიცავს, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგებს.

კვლევა ლგბტი ადამიანების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის ინტერსექციული ჩვენების მცდელობაა და მათ ყოფაში სხვადასხვა ძალაუფლების ღერძების გადაკვეთასა და შედეგებს აჩვენებს.

2021 წელს ამ მიმართულებით მოგზადდა:

 7 მანცხადება	 12 ვიდეო
 1 კვლევა	 3 სტატია
 3 თარგმანი	

ინტერვიუების ციკლი – „სხვა კუთხე“

2021 წელს, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, პროექტ 64-ის ტექნიკური მხარდაჭერით, დაიწყო ინტერვიუების ციკლი - „სხვა კუთხე“.

ინტერვიუების ციკლის მიზანია:

- 1.** მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების სისტემური კრიტიკული ანალიზი;
- 2.** საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკუსიებში შინაარსზე ორიენტირებული განხილვების დაბრუნების ხელშეწყობა;
- 3.** გაბატონებულ დღის წესრიგში საზოგადოებრივი ინტერესის და მხერის შემოტანა და მხარდაჭერა;


სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2021 წლის განმავლობაში ჩაწერა ინტერვიუ მკვლევრებთან, თემის წევრებთან, აქტივისტებთან, რომლებსაც მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებთან კავშირში საინტერესო დაკვირვებები, მიგნებები და გამოცდილებები აქვთ.

ამ გზით ვცდილობთ შევქმნათ დისკუსიის კუთხე და „სხვა კუთხეში“ შემოგთავაზოთ სხვადასხვა ალტერნატიული მოსაზრება, პერსპექტივა და ვისაუბროთ იმაზე, თუ რა სახის გამოწვევების წინაშე ვართ დღეს დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის, მართლმსაჯულებისა და სხვადასხვა გარიყული ჯგუფების უფლებების და სოციალური ინტერესების დაცვის კუთხით?

- ▶ როგორია პოლიტიკის სტრუქტურა ჩვენს რეალობაში და როგორია მისი განვითარების ისტორიული კონტექსტები?
- ▶ რატომ რჩება ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ღარიბად და რატომ ღრმავდება სოციალური უთანასწორობა ჩვენთან?
- ▶ რატომ და რა მექანიზმებით ხდება საზოგადოებრივი ინტერესების და საჭიროებების განდევნა პოლიტიკური დღის წესრიგიდან?

ამ და სხვა საკითხებზე ფიქრით და მსჯელობით გვსურს, მაყურებელს მივცეთ სივრცე და საშუალება, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე სიღრმისეული და ფართო დაკვირვებები შეიქმნას.

2021 წელს მოგზაობული ინტერვიუები:



▶ 5-6 ივლისის მოვლენები



▶ ნამახვანჭვის წინააღმდეგობის მოძრაობა



▶ პოლიტიკური კრიზისი და არჩევნები



▶ ეკლესია კრიზისის რეალობაში



▶ საგარეო ვალი და საქართველო



▶ რა არის დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის რეალური შინაარსი?

სოციალური სამართლიანობის ცენტრის გამოცემები 2021

სოციალური პოლიტიკის პროგრამა



ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შეღავათები – ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია



ეკსტრაქტივიზმი და ქალთა ეკომონიკური მონაწილეობა ტყიბულში




არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში



შრომის ინსპექციის საქმიანობის შეფასება – 2021



ფსიქიკური ჯანმრთელობა და სისტემური ჩაგვრა – თარგმანების კრებული




ტყიბულელ ქალთა ცხოვრების, შრომისა და მიგრაციის თავისებურებები



ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სტრატეგიის სამუშაო ვერსია – პირველადი პოზიცია



დეკრეტული შვებულება 2020 წლის შრომის რეფორმამდე და მის შემდეგ



ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები – პრობლემური საკითხები და ცვლილებების პოტენციალი



საცხოვრისის სერვისების მნიშვნელობა შშმ პირთა დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში



საქართველოში მოქმედი მიტანის სერვისის კომპანიების ხელშეკრულებების სამართლებრივი შეფასება




ნამახვანი ჰესის მედიაციის პროცესი – ანგარიში



ჭიათურის კრიზისი

მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა



დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა



დანაშაულისა და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში



დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში – მიღწევები და არსებული გამოწვევები



მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში



ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2020 წლის ტენდენციები



მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგია



ოპოიდეზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამები პენიტენციურ სისტემაში – კანონმდებლობის ანალიზი



საპარლამენტო კონტროლის ძირითადი მექანიზმები საქართველოში



5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება – პირველადი ანალიზი



საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე – მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება



ფარული მიყრდნობა კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში – ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი



სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის ევროპული მოდელი: ხსნა თუ დაბრკოლება წარმატებული სასამართლო რეფორმის გზაზე



19 აპრილის შეთანხმება – მართლმსაჯულების რეფორმის მორიგი გამოუყენებელი შესაძლებლობა

თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა



საქართველოს მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა




დმანისის კონფლიქტი – ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები



ბუკნარი – კიდევ ერთი რელიგიური კონტექსტის მქონე კონფლიქტის ადგილი




უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა – თეორიული ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოში



ეთნიკური უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა



უმცირესობების მონაწილეობის უფლება და ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის სტანდარტები



ხედვა პოლიტიკური პარტიებისთვის მუნიციპალიტეტების ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ



არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში – ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება




ადამიანის უფლებები მშვიდობის მშენებლობისთვის



მეზობელ ქვეყნებში ექსტრადიციის მანკიერი და არაადამიანური პრაქტიკა

დონორი ორგანიზაციები და პროექტები



პროექტი: ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის ხელშეწყობა და უფლებრივი გაძლიერება კვლევის, განათლების, ადვოკატირების და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების მეშვეობით



- **პროექტი:** სამართლიანი და ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება
- **პროექტი:** ქვემო ქართლში მასწავლებლების, როგორც სოციალური ცვლილებების აგენტების და სათემო ცხოვრების გაძლიერება და მხარდაჭერა
- **პროექტი:** “ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება”
- **პროექტი:** ჰუმანური ნარკოპოლიტიკის და სამართალდამცავი სისტემის მხარდაჭერა საქართველოში
- **პროექტი:** წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში ეთნიკური უმცირესობების ხმების გაძლიერება



პროექტი: ლგბტი პირთა უფლებების გაძლიერება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა



პროექტი: ბრუნვის საჭიროებების, სერვისებისა და პოლიტიკის ადვოკატირების პროექტი



პროექტი: ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის გარშემო გარიგების, კორუფციისა და ინტერესთა კონფლიქტის საქმეები



- **პროექტი:** მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- **პროექტი:** “მარგინალიზებული ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებების პირობების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალმართობის გზით”
- **პროექტი:** საგამოძიებო სისტემის რეფორმის ადვოკატირება
- **პროექტი:** ქართული სასამართლო სისტემის სიღრმისეული რეფორმის მხარდაჭერა



პროექტი: პროტესტის გამოხატვის უფლების მხარდაჭერა საქართველოში



- **პროექტი:** წყლის და მინერალური რესურსების მდგრადი და დემოკრატიული მართვა საქართველოში
- **პროექტი:** კვლევისა და ადვოკატირების გზით სამშვიდობო პოლიტიკის პოზიტიური ტრანსფორმაციის ხელშეწყობა



პროექტი: ბარიერების მოხსნა, რომელიც ხელს უშლის ქალთა თანაბარ მონაწილეობას შრომის ბაზარზე



პროექტი: ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში



Kingdom of the Netherlands

პროექტი: დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მხარდაჭერა

ერთობლივი პროექტები



პროექტი: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მხარდაჭერა



პროექტი: იურიდიული დახმარების ქსელი აქტივისტებისათვის



socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06